Janowski v. Poland

საჩივარი N 25716/94

გადაწყვეტილება

21 იანვარი, 1999

გადაწყვეტილებაში საქმეზე *იანოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ* ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა საკითხი, იყო თუ არა ჟურნალისტის მიერ სახელმწიფო მოხელის შეურაცხყოფისთვის მსჯავრდება მისი გამოხატვის თავისუფლების დარღვევა.

ეროვნულ დონეზე ჟურნალისტს მსჯავრი დაედო მუნიციპალიტეტის თანამშრომლების შეურაცხყოფის გამო. მათ მომჩივანი ქუჩაში ეჩხუბა და „ხეპრე“ და „უტვინო“ უწოდა, რადგან გარემოვაჭრეებს ახლომდებარე ბაზართან გადასვლა უბრძანეს. მომჩივანს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 თვის ვადით, რომელიც ჩაეთვალა პირობითად, 2 წლის გამოსაცდელი ვადით.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ჟურნალისტის სიტყვები არ იყო საჯარო დისკუსიის ნაწილი იმ საკითხზე, რომელზეც საზოგადოების ინტერესი არსებობდა. მოცემულ შემთხვევაში, აშკარა იყო, რომ მომჩივანი მოქმედებდა, როგორც კერძო პირი და არა, როგორც ჟურნალისტი. ევროპული სასამართლო ვერ დარწმუნდა მომჩივნის პრეტენზიის მართებულობაში, რომ მისი მსჯავრდება ხელისუფლების მცდელობა იყო, აღედგინათ ცენზურა და რომ მიმართული იყო მომავალში მისი მხრიდან კრიტიკული მოსაზრებების გაჟღერების ჩასახშობად.

კრიტიკის დასაშვები ფარგლები, ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება უფრო ფართო იყოს საჯარო მოხელეებთან მიმართებით, რომლებიც კერძო პირებთან მიმართებით თავიანთ უფლებამოსილებას ახორციელებენ. ამასთან, არ შეიძლება ითქვას, რომ საჯარო მოხელეები შეგნებულად დათანხმდნენ, რომ მათი თითოეული სიტყვა და ქმედება დეტალური განხილვის საგანი ყოფილიყო, როგორც ეს პოლიტიკოსებმა გააკეთეს. შესაბამისად, იგივე სტანდარტი არ უნდა იქნეს გამოყენებული საჯარო მოხელეების მიმართ, რაც გამოიყენება პოლიტიკოსების მიმართ, როცა საქმე ეხება მათ კრიტიკას. საჯარო მოხელეებს უნდა ჰქონდეთ საზოგადოების ნდობა, რომ ისინი წარმატებით

შეასრულებენ თავიანთ მოვალეობებს და ამიტომ საჭიროა მათი დაცვა სიტყვიერი შეურაცხყოფისას, როცა ისინი თავიანთ მოვალეობას ასრულებენ.

სასამართლო დაეთანხმა, რომ მომჩივანმა გამოიყენა შეურაცხმყოფელი სიტყვები, როცა გამოთქვა შეშფოთება თანამოქალაქეების მიმართ მოპყრობის შესახებ. მისი სიტყვები მიმართული იყო საჯარო მოხელეების მიმართ ოღონდ ეს მან გააკეთა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას, გამვლელების წინაშე, როდესაც მოხელეები თავიანთ მოვალეობას ასრულებდნენ. მოხელეთა ქმედებები არ საჭიროებდა ასეთ სიტყვიერ შეურაცხყოფას. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნული ხელისუფლების მიერ დასახელებული არგუმენტები იყო „რელევანტური და საკმარისი“ კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებისათვის და რომ ჩარევა მომჩივნის გამოხატვის თავისუფლებაში იყო დასახული ლეგიტიმური მიზნის პროპორციული. არ დადგინდა ჟურნალისტის გამოხატვის თავისუფლების დარღვევა.